საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ადეიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	11	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ირაკლი ადეიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ირაკლი ადეიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას</u>, კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს სამი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ერთი, 125-ე მუხლის მე-7[1] ნაწილით გათვალისწინებული ერთი და 125-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევა, აღნიშნულთაგან ერთ შემთხვევაში

		მიეცა გაფრთხილება, ხოლო ორ შემთხვევაში შეფარდებულ ჯარიმებს (ვიდეოჯარიმებია) აქვთ ვადაგასულის სტატუსი. მოპოვებული ინფორმაციის, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა პატიოსნებით და კეთილსინდისიერებით. ადამიანებთან ურთიერთობისას კორექტული და თავმდაბალია. ყოველთვის განუხრელად იცავს სამსახურებრივ შინაგანაწესს. შეუძლია სამსახურებრივი ინტერესის პირადზე მაღლა დაყენება. სიმართლისმოყვარეა და შესწევს შეცდომის აღიარების უნარი. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების აზრით, ირაკლი ადეიშვილი თანაბარი პატივისცემით ეპყრობა პროცესის მონაწილე მხარეებს და ყოველთვის ახერხებს შეუქმნას მათ სამართლიანობის განცდა. ამავდროულად, ყოველთვის ერიდება მის განსახილველ საქმეში

		მონაწილეებთან Ex Parte კომუნიკაციას. მედეგია ზეგავლენის მიმართ. კარგად ართმევს თავს რთული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი კორექტული, გაწონასწორებული და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას და ღიაობას. კანდიდატის ქცევას, როგორც სასამართლოს შენობაში, ასევე მის გარეთ პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. აღნიშნავენ, რომ ირაკლი ადეიშვილი ტაქტიანი და მოთმინების უნარის მქონე პიროვნებაა. შეუძლია განაწყოს ადამიანები მის მიმართ კეთილგანწყობითა და ნდობით. ტოლერანტულია და არასდროს გამოუთქვამს რაიმე სახის რადიკალური ან დისკრიმინაციული შეხედულება. სასამართლო პროცესზე და ზოგადად ადამიანებთან ურთიერთობისას ზომიერია, სრულად აკონტროლებს საკუთარ ემოციებს. ახასიათებს კოლეგიალურობა, ხშირად ეხმარება კოლეგებს რჩევებით სხვადასხვა პრობლემურ სამართლებრივ საკითხებზე. არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით,

		შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში ირაკლი ადეიშვილი აღარ ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას და შესაბამისად მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ასევე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფორმაციით, ირაკლი ადეიშვილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ არ შეფარდებია დისციპლინური სახდელი. კანდიდატი სასამართლოში მხარედ მონაწილეობდა მხოლოდ ერთ სამოქალაქო საქმეზე მოსარჩელის სტატუსით. დავის საგანი იყო პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. სამივე ინსტანციაში დავის შედეგად სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პროფესიული და პირადი რეპუტაციით. მიაჩნიათ, რომ ის განუხრელად იცავს ადამიანური მორალის მოთხოვნებს, პატივისცემას აღძრავს კოლეგებში კვალიფიციურობით, კონსტრუქციულობითა და პიროვნული წესიერებით. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში მოიპოვება ინფორმაცია მისი სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესახებ. ხელმისაწვდომია თეა წულუკიანის განცხადება და ირაკლი ადეიშვილის პასუხი. ერთერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ ასახელებს იმას, რომ „ურთიერთობებში იგი ზედმეტად ენდობა ადამიანებს“. მიმაჩნია, რომ კონკრეტული შინაარსის არ

		არსებობის გამო რთულია ნდობისაკენ ადამიანის მიდრეკილება ნაკლად იქნეს აღქმული. ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში ეს თვისება ადამიანის ღიაობას და გულწრფელობას უკავშირდება. რა თქმა უნდა, თუ ეს ირაციონალურობასა და წინდაუხედავობაში არ გადაიზრდება. თუმცა, მსგავს მინიშნებას რეკომენდატორი არ აფიქსირებს. მეორე რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ მიიჩნევს იმას, რომ მისი მაღალი კვალიფიკაციის მიუხედავად ის არ კითხულობს ლექციების კურსს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, რაც მის პროფესიულ ზრდას კიდევ უფრო დააჩქარებდა. მიმაჩნია, რომ პედაგოგობა ცალსახად სასარგებლო და პოზიტიური საქმიანობაა, თუმცა ამავდროულად მისკენ მიდრეკილება სპეციფიკური და ინდივიდუალურია. ამიტომ, ჩემი აზრით, პედაგოგიური საქმიანობის განუხორციელებლობა პროფესიონალის ნაკლად არ უნდა იქნეს მიჩნეული, მით უმეტეს, პროფესიული ზრდისათვის სხვა, პრაქტიკული შესაძლებლობებიც არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელთარსებული ინფორმაციით კანდიდატი ადვოკატთა ასოციაციაში უძღვება სალექციო კურსს „სამეწარმეო სამართლის აქტუალური საკითხები“, ხოლო 2015-2016 წლებში ატარებდა ტრენინგებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სამოსამართლო ეთიკისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალში. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის სხვა პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებსა და სისუსტეებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ირაკლი ადეიშვილს

			საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა სამი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები (ორ შემთხვევაში შეფარდებული ჯარიმები ვადაგასულია, ხოლო ერთ შემთხვევაში ირაკლი ადეიშვილს შეეფარდა გაფრთხილება). საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის სტატიების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u>

			აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ადეიშვილი კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და მატერიალური სამართლის თეორიულ საფუძვლებს. ის სწორად აღიქვამს გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და დანიშნულებას. წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში დასმული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისას მან იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითაც. წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი სრულად და ადეკვატურად აცნობიერებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მნიშვნელოვან როლს მთელ რიგ სამართალურთიერთობებთან მიმართებაში შიდასახელმწიფო კანონმდებლობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. საკმაოდ ვრცლად, კონკრეტული საქმეებისა და კონცეპციების გააზრების საფუძველზე მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა (კერძოდ, ერთი სტატიის თემა კონკრეტულად ქალთა უფლებებია) დაცვისას სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებითი როლის პოზიტიურ ვალდებულებით როლში ტრანსფორმაციის საკითხს. ამგვარი ტრანსფორმაციის პრევენციულ მნიშვნელობას შესაბამის სამართალურთიერთობებში. ზოგადად შესწევს უნარი სწორად დასვას სამართლებრივი პრობლემა და ამომწურავად განიხილოს მისი არსი. გააჩნია დასმული საკითხის დეტალური ანალიზის, თანმიმდევრული მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გამოტანის უნარი. გასაუბრების შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ზოგადად სამართლის თეორიულ საკითხებზე დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხი, ჩემი აზრით, შინაარსობრივად შედარებით ზედაპირული და ნაკლებ მოცულობითი იყო.

			იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპების და არსებითი უფლებების ბუნებასა და მათი განხორციელების წესთან დაკავშირებით კანდიდატის მსჯელობაზეც. კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ ის ეცნობა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას და საკანონმდებლო სიახლეებს, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას სპეციალურ მოსარჩელესთან დაკავშირებით, არ იცნობდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის სტატიების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ გადაწყვეტილებებისა და კანდიდატის ნაშრომებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები საფუძვლიანი და თანმიმდევრულია. მისი დასკვნები მოხმობილი ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. თუმცა ჩემი აზრით, გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით კანდიდატს გაუჭირდა ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის, შიდასახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის სწორი შედარებითი და საგნობრივი ანალიზი და დამაჯერებელი დასკვნის გამოტანა. ირაკლი ადეიშვილს გააჩნია 23 წლიანი პროფესიული გამოცდილება. ის პროფესიულ საქმიანობას ეწეოდა

			საერთაშორისო ორგანიზაციაში, სხვადასხვა იურიდიულ საკონსულტაციო ორგანიზაციებში და კერძო იურიდიულ პირებში. 2005-2015 წლებში იყო ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოს, ხოლო შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. პარალელურად, ადვოკატთა ასოციაციაში უძღვება სალექციო კურსს „სამეწარმეო სამართლის აქტუალური საკითხები“.
წერის უნარი	17	20	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის სტატიების ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა ჩამოყალიბებულია გამართულად. კანდიდატი სწორად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული თვალსაზრისით. იურიდიული ტერმინოლოგია ბუნებრივად არის ჩართული საერთო ენობრივ კონტექსტში. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	11	15	<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და</u>

			<u>გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას ძირითადად თანმიმდევრულად, ლაკონიურად და ცხადად გადმოსცემს. მას შეუძლია დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად, როგორც წესი, გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად აქვთ შეფასებული რეკომენდატორებს და გამოკითხულ პირებსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ადეიშვილი ეფექტიანად გეგმავს სამუშაო განრიგს და სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს. შეუძლია დროის კარგად განაწილება, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება. მათივე აზრით, სტრესული გარემო მას ვერ უშლის ხელს სრულად გამოავლინოს პროფესიული შესაძლებლობები. უნდა აღინიშნოს, რომ მისი სამოსამართლო საქმიანობის პერიოდის სტატისტიკა ვერ იქნა მოძიებული.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> ირაკლი ადეიშვილმა 2003 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების ინფორმაციით ირაკლი ადეიშვილს გამოარჩევენ როგორც ახალი ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის მაღალი ინტერესის მქონე პიროვნებას, რომელსაც აქვს კარგი საოფისე კულტურა და შესწევს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად ახერხებს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული შესაძლებლობების რეალიზებას.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> ირაკლი ადეიშვილი ადვოკატთა ასოციაციაში უძღვება სალექციო კურსს თემაზე: სამეწარმეო სამართლის აქტუალური საკითხები. 2015-2016 წლებში ატარებდა ტრენინგებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სამოსამართლო ეთიკისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალში. გარდა ამისა, დაკავებულია თეორიულ-მეცნიერულ აქტივობითაც - პერიოდულად აქვეყნებს სტატიებს სამართლის პრობლემურ საკითხებზე.

			კანდიდატი ბოლო წლების განმავლობაში მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ მხოლოდ ერთ ტრენინგში.
ქულათა ჯამი	85	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა: